

შპს „ამორე“

ს.ნ. 406030334

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე	3
ფინანსური ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3.1 ფული და ფულის ექვივალენტები	7
3.2 სავაჭრო მოთხოვნები	8
3.3 მარაგები	8
3.4 ძირითადი საშუალებები	8
3.5 სავაჭრო ვალდებულებები	8
3.6 საგადასახადო ვალდებულებები	8
3.7 შემოსავლის აღიარება	9
3.8 ხარჯების აღიარება	9
3.9 შრომის ანაზღაურება	9
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	9

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ამორეს“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად;

ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი:



ერდალ საღლამ

ბუღალტერი:



თამარ წიკლაური

ფინანსური მდგომარეობა:

აქტივები	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები		
1100 ფული სალაროში	23697.61	8832.67
1200 ფული საბანკო ანგარიშებზე	31152.38	31012.82
1410 სავაჭრო მოთხოვნები	546621.73	546358.74
1430 მოთხოვნები საწარმოს პერსონალზე	0.00	0.00
1480 მომწოდებლებზე წინასწარ გადახდა	342699.55	237706.3
1485-3300 წინასწარ გადახდილი გადასახადები	0.00	0.00
1490 მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	0.00	0.00
1700 წინასწარ გაწეული ხარჯები	0.00	0.00
1890 მისაღები პროცენტები	0.00	0.00
სულ მიმდინარე აქტივები	944170.97	823910.53
სასაქონლო მატერიალური მარაგი		
1600 სასაქონლო მატერიალური მარაგი	1799902.40	1213357.35
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1799902.40	1213357.35
გრძელვადიანი აქტივები		
2130 შენობები	299166.07	330919.75
2160 კომპიუტერული ტექნიკა	17701.78	7880.02
2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი	56119.79	18402.96
2180 სატრანსპორტო საშუალებები	23275.40	14400.84
2190 სხვა აქტივები	23700.70	2308.67
სულ გრძელვადიანი აქტივები	419963.74	373912.24
სულ აქტივები	3164037.11	2411180.12
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
3110 მოწოდ. და მომს წარმოქმნილი ვალდებულებები	652057.62	378637.4
3130 გადასახდელი ხელფასები	0.00	0.00
3120 მიღებული ავანსები	526.53	526.53
3210 მოკლევადიანი სესხი	0.00	0.00
3410 დარიცხული ვალდებულებები	56224.83	594487.94
3300 საგადასახადო ვალდებულებები	43221.46	29109.29
3470 სხვა დარიცხული ვალდებულებები	0.00	0.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	752030.44	1002761.16
გრძელვადიანი ვალდებულებები		
4100 გრძელვადიანი სესხები	1095044.85	400901.69
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1095044.85	400901.69
საკუთარი კაპიტალი		
5100 საწესდებო კაპიტალი	0.00	0.00
5310 გაუნაწილებელი მოგება	1316961.82	1007517.27
სულ საკუთარი კაპიტალი	1316961.82	1007517.27
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3164037.11	2411180.12

დირექტორი:

ბუღალტერი:


თ. ნიკოლეიძე

ერდალ საღლამ


თამარ წიკლაური

საქმიანობის შედეგები:

საქმიანობის შედეგები:					
ანგარიში	მუხლი	2024		2023	
6110	შემოსავალი რეალიზიციიდან	2351964.43		2147801.21	
6110 04	შემოსავალი იჯარიდან	0.00		4050.00	
8130	შემოსავალი საკურო სხვაობიდან	34682.04		0.00	
8100	არასაოპერაციო შემოსავალი	12944.92		453233.48	
1610	საბოლოო ნაშთი	1799902.40		1213357.35	
სულ შემოსავალი		4199493.79	-	3818442.04	
1610	საწყისი ნაშთი		1213357.35		1461556.33
1610	შეძენა		1663538.72		959171.3
7401	საკანცელარიო		860.26		227.72
7410	შრომის ანაზღაურება		361232.29		259344.48
7420	იჯარა		296440.82		226569.85
7421	დაცვის მომსახურება		10032.84		8804.32
7427	კომერციული ფართის მომსახურება		26858.24		9076.24
7426	მივლინების ხარჯი		37216.05		11457.67
7429	კომუნალურები		24919.98		22601.21
7430	ინტერნეტი, კომუნიკაციები, 112		6719.36		7018.7
7435	დაზღვევა		1594.14		3042.2
7444; 7465; 7460	გადასახადები (ქონება, სავენსიო, სხვა საგადასახადო ხარჯი)		19629.78		24769.93
7445	კომპიუტერის ხარჯები		0.00		188.31
7450	საკონსულტაციო ხარჯები		21628.81		6000
7451; 7485	იურიდიული/ნოტარიუსის/რეგისტრაციის ხარჯი		0.00		234
7455; 7499	ცვეთა და ამორტიზაცია		50863.92		46760.36
7456	მცირეფასიანი ინვენტარი		0.00		0
7470	ბანკის ხარჯი		29714.20		22962.93
7475	ავტომანქანის მიმდინარე ხარჯები		757.64		3720.34
7477; 7479	რეკლამა, რეალიზაციის, მარკეტინგის ხარჯები		5192.21		4932.38
7481	საოფისე ხარჯი		0.00		698.21
7482, 7499	სხვადასხვა ხარჯები		4088.17		3092.82
7483	სსა-ს ტექნომომსახურება		0.00		59.34
სულ საოპერაციო ხარჯი		3774644.80		3082288.64	
8210	საპროცენტო ხარჯი		76926.52		64864.77
8220	კურსთაშორის სხვაობა		32456.98		9549.39
8200, 8202, 8270	სხვა არასაოპერაციო ხარჯები, ზარ.ძირ.საშუალ. რეალიზაციიდან		6109.76		33354.93
8201	ზარალი საკურსო სხვაობიდან		0		400328.41
სულ არასაოპერაციო ხარჯი		115493.26		508097.5	
მოგება/ზარალი		309355.73		228055.9	

დირექტორი:

ბუღალტერი:


თ. ნიგოიში

ერდალ საღლამ

თამარ წიკლაური

კაპიტალის მოძრაობა:

	2023 წელი	2023 წელი
კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	779462.20	1007518.10
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	0.00	0.00
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	228055.90	309355.73
კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1007518.10	1316873.83

ფულადი სახსრების მოძრაობა:

	2024	2023
ფულის ნაშთი - 01.01.2023		36230.00
ფულის ნაშთი - 01.01.2024	39844.20	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(684872.00)	487129.52
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	694144.00	(473497.29)
სავალუტო კურსის ეფექტი	5733.00	(10018.03)
ფულის ნაშთი - 31.12.2023		39844.20
ფულის ნაშთი - 31.12.2024	54849.20	

დირექტორი



ერდალ საღლამ

ბუღალტერი

თ. ნიკოლეიძე

თამარ წიკლაური

ფინანსური მდგომარეობის ახსნა განმარტებითი შენიშვნები საწარმოს შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ამორე“ (ს.ნ. 406030334) რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად 2010 წლის 22 ივნისს;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2010 წლის 9 აგვისტოდან;

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ც.დადიანის ქ. N7, II სართული, კომერციული ფართი 202 (ს/ც ქარვასლა);

საიდენტიფიკაციო ნომერი: 406030334;

დამფუძნებელი (100%-იანი წილით) არის ერდალ საღლამ (პ.ნ.01005024537);

წარმომადგენელი ხელმძღვანელობაზე (დირექტორი) არის ერდალ საღლამ (პ.ნ.01005024537);

შპს „ამორე“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, დამატებით - საბითუმო ვაჭრობა ტანსაცმლით და საცალო ვაჭრობა საფოსტო შეკვეთით ან ინტერნეტის საშუალებით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოიყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციები კორექტირების აუცილებლობას არ წარმოადგენს.

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ვალდებულების წარმოქმნის და ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანიის საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთები, შესაბამის ანგარიშგებზე ასახულია საანგარიშო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებში.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის (მომსახურების რეალიზაცია) შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

3.3. მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო-საბაჟო გადასახადებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ბუღალტრულად აღიარდება ხარჯად.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების გამოწენების ვადები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ჯგუფი	ვადა
შენობება-ნაგებობები	20 წელი
ავტომობილები	5-6 წელი
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკა	5-6 წელი
ავეჯი	5-6 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	7-8 წელი

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში - საკანცელარიო ხარჯად. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე კლასიფიცირდება საოფისე, მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯებად, ასევე კომპიუტერული ტექნიკის, ავტომობილის, მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს.

3.5. სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც დარიცხის მეთოდით წარმოიქმნება საქონლის მოწოდების ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.6. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2024 წლისთვის შედგება დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებისგან

3.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როცა კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელს საკუთრებაში, შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა და შესაბამისად მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს სარგებელს. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები საზღაურის რეალური ღირებულებით.

3.8. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.9. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით, შრომის კანონმდებლობის და კომპანიის მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:



ერდალ საღლამ

ბუღალტერი:

თ. ნიკოლაიძე

თამარ წიკლაური